

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„ 26 “ 12 ----- “ 2014 წელი

ეგზ. № 2

გორის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში

აშ 56/00

2014 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
აუდიტის მიდგომა	6
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში	7
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	7
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	9
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	10
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	10
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	10
მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	11
შენობა-ნაგებობები	11
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	17
ფასეულობები	19
არაწარმოებული აქტივები	20
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	21
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	22
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	22
სხვა მატერიალური მარაგები	23
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	23
წმინდა ღირებულება	24
არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა	24
სატრანსპორტო საშუალებები	28
ინვენტარიზაცია	29
აუდიტის დასკვნა	30
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში	31
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	31
ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები	32

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	34
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	34
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით.....	34
მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით.....	35
შენობა-ნაგებობები	35
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	41
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	43
ფასეულობები	44
არაწარმოებული აქტივები	45
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები.....	46
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	46
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები.....	47
სხვა მატერიალური მარაგები	47
წმინდა ღირებულება	48
არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა	49
სატრანსპორტო საშუალებები.....	51
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	51
აუდიტის დასკვნა.....	53
გორის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	54
გორის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	72
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	90
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	90

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები, გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, გორის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.


2012 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტი¹ თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2012 წელს გორის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 43 919,3 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 38 036,8 ათასი ლარი (86,6%) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერს. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერი 10 739,8 ათასი ლარია, მიზნობრივი ტრანსფერი - 265,0 ათასი ლარი, ხოლო სპეციალური ტრანსფერი - 27 032,0 ათასი ლარი.


¹ 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა 2 დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტი.



დიაგრამა 1: 2012 წლის შემოსულობები

დიაგრამა 2: 2012 წლის ტრანსფერები

2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 47 172,0 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 32 742,0 ათას ლარს (69,4 %) შეადგენს ხარჯები, 14 289,9 ათასი ლარი (30,3%) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო 140,1 ათასი ლარი - ვალდებულებების კლებას.



დიაგრამა 3: 2012 წლის ხარჯების კლასიფიკაცია

2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქუჩების მოასფალტების სამუშაოები;
- წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების“ პროექტები.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების მოძრაობა;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა;
- ✓ გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა;
- ✓ ადგილობრივი ქონების ინვენტარიზაცია.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას, რის გამოც საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც საჭიროებს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვას.

მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდებოდა ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების ფორმა - ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები, მოამზადა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები ძირითადად მიღებულია, როგორც სარწმუნო.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) №1210 ანგარიშზე - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, ნაშთი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაჩვენებია 3 467,7 ათასი ლარის ოდენობით. ბანკის ამონაწერებით, ამ პერიოდისათვის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის ნაშთი შეადგენდა 3 451,9 ათას ლარს. ნაშთი გაზრდილია (ნაჩვენებია) სახელმწიფო ხაზინიდან 2012 წლის 31 დეკემბერს გადმორიცხული მუნიციპალიტეტის კუთვნილი 15,8 ათასი ლარით, რომელიც ანგარიშზე ჩაირიცხა 2013 წლის 3 იანვარს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, გაზრდილია 15,8 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია მუხლი „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 15,8 ათასი ლარით გაზრდილია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლი.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება: 2013 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტს ერიცხება წინა წლების საიჯარო ქირის მიუღებელი თანხა, სულ 40,5 ათასი ლარი, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, შემცირებულია 40,5 ათასი ლარით.

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

გარემოება: 2013 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციის შესაბამისად, წინა წლებში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის სახით მიუღებელია 615,2 ათასი ლარი.

თანხა, როგორც მუნიციპალიტეტის კუთვნილი შემოსავლები, ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“, შემცირებულია 615,2 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

შენიშვნა-ნაგებობები

გარემოება №1: 2012 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა სოფლის სტადიონების შემოღობვის სამუშაოები², საერთო ღირებულებით 15,8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

² ხელშეკრულებები №136, 18.05.2012; №215, 19.07.2012.

დანახარჯები, როგორც „ძირითადი აქტივი“, უნდა აღრიცხულიყო „შენობა-ნაგებობების“ მუხლით და დარიცხვოდა ცვეთა³.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 15,8 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 15,8 ათასი ლარით გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არასწორი გატარების გამო, მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №2: მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია 46,7 ათასი ლარის საერთო ღირებულების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება/პროექტირების სამუშაოები⁴,

³საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 22, პუნქტი 1.

რომლებიც გატარებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლში. მოქმედი კანონმდებლობის⁵ თანახმად, აღნიშნული თანხით უნდა გაზრდილიყო შესაბამისი წარმოებული აქტივის ღირებულება.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 46,7 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 46,7 ათასი ლარით გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არასწორი გატარების გამო მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, 46,7 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი. მათ შორის: „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლი შემცირებულია 3,0 ათასი ლარით, „ქუჩები“ – 26,5 ათასი ლარით, „საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები“ – 16,6 ათასი ლარით, „სხვა შენობა-ნაგებობები“ – 0,6 ათასი ლარით.

⁴ ხელშეკრულებები №39, 09.02.2012; №77, 20.03.2012; №87, 28.03.2012; №96, 06.04.2012; №101, 11.04.2012; №131, 16.05.2012; №133, 18.05.2012; №156, 11.06.2012; №174, 25.06.2012.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“; მუხლი 24, პუნქტი 3.

- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №3: მუნიციპალიტეტის მიერ 2 შესყიდვის პროცედურით⁶ განხორციელებულია შენობა-ნაგებობისა მიმდინარე შეკეთება, ღირებულებით 6,5 ათასი ლარი, რომელიც აღრიცხულია „ძირითად აქტივების“ მუხლში. ასეთი სამუშაოები არ წარმოადგენს არსებული აქტივების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და ამ შემთხვევაში ხარჯები ექვემდებარებოდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გატარებას.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, 6,5 ათასი ლარით გაზრდილია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 6,5 ათასი ლარით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არასწორად აღიარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი“.

⁶ ხელშეკრულებები №35, 02.02.2012; №204, 07.12.2012.

- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №4: წარმოდგენილი ინფორმაციით, 2012 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი და დამატებითი ქონების სახით რეგისტრირებულია 7 ერთეული შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთთან⁷ ერთად (შენობა-ნაგებობა - 3,2 ათასი კვ.მ, დაკავებული მიწა - 16,9 ათასი კვ.მ). აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებული სახითაა წარმოდგენილი.
- მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი“.
- არაფინანსური აქტივების მიღება არ არის ასახული ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“.
- აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №5: მუნიციპალური განვითარების ფონდისა და იაპონური საგრანტო პროგრამის სესხის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტში განხორციელებულია

⁷ საკადასტრო კოდები: 66.47.14.035, 66.60.11.023, 66.46.15.017, 66.45.18.149, 66.61.03.070, 66.54.18.007, 66.56.10.034

საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტები, გრძელვადიანი დაფინანსების ფორმით. სესხის მომსახურებაზე 2012 წელს გადახდილია 235,7 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი თანხის სახით ანაზღაურებულია 140,1 ათასი ლარი, ხოლო პროცენტის სახით - 95,6 ათასი ლარი⁸. მომსახურების საკასო ხარჯი (პროცენტი) ჩამოწერილია ხარჯებში და ასახულია ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, 96,0 ათასი ლარის ოდენობით.

სესხით სარგებლობის თანხით უნდა გაზრდილიყო შესაბამისი აქტივის ღირებულება, რადგან აქტივის შემენასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების ხარჯების სახით აღიარება და მისი კაპიტალიზაცია ხდება მათი გაწვევისთანავე⁹.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, 95,6 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

⁸ მგფ-სა და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული (31.10.2008) საინვესტიციო ხელშეკრულების დამატება.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტი 8, 9.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება №1: 12,0 ათასი ლარის საერთო ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი, რომელიც მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 3 შესყიდვის პროცედურით¹⁰, გატარდა „ოფისის ხარჯების“ მუხლით. რეალურად შესყიდულია „ძირითადი აქტივები“¹¹, რომელიც უნდა აღრიცხულიყო მუხლით - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, რადგან თითოეული სახეობის საქონლის ღირებულება აღემატება 500 ლარს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, მუხლი - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ შემცირებულია 12,0 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 12,0 ათასი ლარით გაზრდილია მუხლი - „საქონელი და მომსახურება“, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არასწორი გატარების გამო, მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.

¹⁰ ხელშეკრულებები №11, 12.01.2012; №83, 26.03.2012; №276. 31.08.2012.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 22, პუნქტი 1.

- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №2: მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია სოფ. ხვითის სასმელი წყლის ქაბურღილის ტრანსფორმატორი და სოფ. სათემოს ბაღის მაცივარი, ჯამური ღირებულებით 2,0 ათასი ლარი¹². ნაცვლად „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლისა, ხარჯები გატარებულია მუხლში - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 2,0 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 2,0 ათასი ლარით გაზრდილია მუხლი „საქონელი და მომსახურება“, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არასწორი გატარების გამო, მიღებული აქტივი მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მასზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“,

¹² ხელშეკრულებები №197, 09.07.2012; №229, 28.11.2011.

არასწორადაა წარმოდგენილი მუხლი - „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“.

- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

ფასეულობები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „ფასეულობების“ მუხლი წარმოდგენილია 46,4 ათასი ლარით. აქედან ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 41,6 ათას ლარს, ხოლო შესყიდვებით მიღებული აქტივების ღირებულება - 4,8 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივად განხორციელებულია მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და მომსახურების შესყიდვა - თანხით 4,8 ათასი ლარი¹³, რომელიც ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, ასახულია „არაწარმოებული არამატერიალური აქტივების“ მუხლში, ხოლო დანართ №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „სხვა ფასეულობების“ მუხლში.

ფასეულობა წარმოადგენს მნიშვნელოვანი ღირებულების წარმოებულ აქტივს, რომელიც ინახება როგორც ღირებულების დაგროვების საშუალება და არ გამოიყენება როგორც წარმოების/მომსახურების პროცესში, ასევე მოხმარებისათვის¹⁴. აღნიშნული ხარჯი არ აკმაყოფილებს ფასეულობად აღიარების კრიტერიუმს და წარმოადგენს მიმდინარე ხარჯს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების - „ფასეულობების“ მუხლი გაზრდილია 4,8 ათასი ლარით. ბალანსის დანართი ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის

¹³ ხელშეკრულება №9, 12.01.2012.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 26, პუნქტი 1.

ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, 4,8 ათასი ლარით გაზრდილია არაწარმოებული აქტივების, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „ფასეულობების“ მუხლები.

არაწარმოებული აქტივები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 2012 წელს რეგისტრირებული 23 ერთეული 435,7 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები¹⁵, ნორმატიული ღირებულებით 2 004,2 ათასი ლარი. მიწა მიეკუთვნება არაწარმოებულ აქტივებს და აისახება არაფინანსურ აქტივებში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი შემცირებულია 2 004,2 ათასი ლარით.
- არაფინანსური აქტივების მიღება არ არის ასახული ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „არაწარმოებული აქტივების“, კერძოდ,

¹⁵ საკადასტრო კოდები: 66.45.15.082; 66.45.25.190; 66.45.08.127; 66.45.07.145; 66.45.13.272; 66.45.16.050; 66.45.25.184; 66.45.10.094; 66.45.31.114; 66.45.31.112; 66.45.31.113; 66.45.07.146; 66.45.07.149; 66.45.05.057; 66.45.07.147; 66.45.08.112; 66.54.22.457; 66.46.24.004; 66.46.24.005; 66.45.05.053; 66.50.05.015; 66.45.08.115; 66.54.03.007.

„მიწის“ მუხლში არ არის ნაჩვენები მიწის ღირებულება 2 004,2 ათასი ლარი.

შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები

გარემოება: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების შესაბამისად¹⁶, 2012 წელს გაზრდილია თვითმმართველობის ცალკეული თანამდებობის პირის ხელფასის ზღვარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით¹⁷, თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები გაზრდილი სახით დამტკიცდა, რითაც მუნიციპალიტეტმა ვალდებულება აიღო 2012 წლის განმავლობაში დამატებით 166,7 ათასი ლარის ხელფასების გაცემაზე.

მუნიციპალიტეტს საბიუჯეტო ცვლილება და ხელფასის ფონდის გაზრდა-დაკრედიტება არ მოუხდენია. არსებულ და გაზრდილ ხელფასებს შორის სხვაობის, ჯამში 166,7 ათასი ლარის დაფარვა მოხდა 2013 წლის ბიუჯეტის ასიგნებიდან, თუმცა 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ვალდებულება არ ასახულა.

გავლენა

- ფინანსური ანგარიშგების (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) ვალდებულებების ნაწილში - „შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასების“ მუხლში არ არის ასახული 166,7 ათასი ლარი.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „შრომის ანაზღაურების“ მუხლი შემცირებულია 166,7 ათასი ლარით, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

¹⁶საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის №945 და 19 ოქტომბრის №961 ბრძანებულებები „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულებაში ცვლილების შესახებ“.

¹⁷2012 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №39, „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“; 2012 წლის 30 ნოემბრის დადგენილება №40, „გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“.

სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, წინასწარ გადახდილმა საიჯარო ქირამ მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან 4,2 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტი წინასწარ გადახდილ თანხას ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხავს¹⁸.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არ არის ასახული მუხლი „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“, თანხით 4,2 ათასი ლარი.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: საბალანსო ანგარიშზე „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“, აისახება სხვადასხვა სახის გრძელვადიანი სესხები და კრედიტები, რომელთა დაფარვით მოსალოდნელია ორგანიზაციიდან ფულადი რესურსების გადინება¹⁹.

მგფ-სა და იაპონური საგრანტო პროგრამის სესხის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში განხორციელებულია საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტები, გრძელვადიანი დაფინანსების ფორმით. კერძოდ, შესრულებულია ქ. გორის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების და სხვა სამუშაოები.

2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალური განვითარების ფონდის სასარგებლოდ დარჩენილი გადასახდელი თანხა 734,3 ათასი ლარია. აღნიშნული ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 44.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 43-44.

დავალიანების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 734,3 ათასი ლარით.

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება: ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლში ასახულია 120,6 ათასი ლარი, რომელიც ჯამდება „ნედლეული და მასალების“ პუნქტით. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული გატარებების ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, ფაქტობრივად, სულ შესყიდულია 609,1 ლარის „სხვა მატერიალური მარაგები“, მათ შორის: 12,6 ათასი ლარის „სათადარიგო ნაწილები“ და 596,5 ათასი ლარის „სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები“.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი შემცირებულია 488,5 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „ნედლეული და მასალების“ მუხლი გაზრდილია 120,6 ათასი ლარით და არ არის წარმოდგენილი „სათადარიგო ნაწილების“ და „სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგების“ მუხლები.

მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება: 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები 26,9 ათასი ლარიდან შემცირებულია 4,3 ათას ლარამდე. მუნიციპალიტეტის მიერ დავალიანების დასაფარად გაწეული საკასო ხარჯი - 22,6 ათასი ლარი ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, მუხლში „სხვა კრედიტორული დავალიანებები“, არ არის ნაჩვენები 22,6 ათასი ლარი.

წმინდა ღირებულება

გარემოება: მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „შემოსავლების“ მუხლში ასახულია მხოლოდ გრანტების სახით მიღებული თანხა 38 037,0 ათასი ლარი. გადასახადები და სხვა შემოსავლები 4 860,3 ათასი ლარის ოდენობით, დამატებულია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლს. ამასთან, დანართში არ არის ასახული არასაკუთარი არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები, თანხით 919,3 ათასი ლარი²⁰.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, კრედიტის მხარე შემცირებულია 919,3 ათასი ლარით. შესაბამისად, არასწორადაა წარმოდგენილი საკრედიტო ბრუნვის, ჯამისა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთის მუხლები.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა

გარემოება №1. ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არ არის წარმოდგენილი „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლი. მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივად შესყიდულია 14,2 ათასი ლარის ღირებულების ინვენტარი²¹ (ძირითადად საოფისე ტექნიკა-ინვენტარი), რომელიც ექვემდებარებოდა „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლით გატარებას, როგორც 500 ლარზე ნაკლები

²⁰ სულ არაფინანსური აქტივების კლება - 1022,2 ათასი ლარი, მ.შ. საკუთარი ქონების (მიწა) რეალიზაცია - 102,9 ათასი ლარი.

²¹ ხელშეკრულებები №№11,12,16,30,122,145,170,183,239,250,261,276,281,289,302,313,322.

ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი²². ხარჯი არასწორადაა მიკუთვნებული „ოფისის“ მუხლს.

ანალოგიურად, მუნიციპალიტეტს შესყიდული აქვს ელ.მომარაგების კვანძის მოწყობა და ინვენტარი ტერიტორიული ერთეულების სარიტუალო დაწესებულებებისათვის, საერთო ღირებულებით 66,8 ათასი ლარი²³. ნაცვლად „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა“, ხარჯები გატარებულია მუხლით „სხვა საქონელი და მომსახურება“.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლი შემცირებულია 81,0 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით გაზრდილია მუხლი „საქონელი და მომსახურება“, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

გარემოება №2: მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციით, 2012 წელს გაყიდულია 56,3 ათასი ლარის საწყისი ღირებულების არაწარმოებული აქტივები, კერძოდ, 15 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი²⁴, რაც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „ღ“.

²³ 2011 წლის ხელშეკრულებები №230; 2012 წლის ხელშეკრულებები №№64,114,210,247,303,320,334.

²⁴ საკუთრების მოწმობები №№1-3, 6-17.

აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „არაწარმოებული აქტივების“ გასვლის მუხლი არასწორადაა წარმოდგენილი.

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლისა და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - წმინდა ღირებულების სისწორეზე.

გარემოება №3: გორის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილია 119,3 ათასი ლარის ღირებულების ავტომანქანა „ტოიოტა ლენდ კრუიზერი-200“²⁵. ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე, აღნიშნული ავტომანქანის შეძენა მოხდა ძველი ავტომანქანის - „ტოიოტა ლენდკრუიზერ LC150“-ის ჩაბარების სანაცვლოდ. მუნიციპალიტეტმა გადაიხადა ჩანაცვლების ფასთა სხვაობის თანხა - 46,3 ათასი ლარი.

როგორც მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერ LC 150“ მუნიციპალიტეტს შეძენილი აქვს 2011 წლის 23 სექტემბრს 108,0 ათას ლარად²⁶. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2012 წლის 10 მაისის დასკვნით, ავტომანქანის საბაზრო ფასი 73,0 ათასი ლარია. მოცემული პერიოდისათვის ავტომანქანის ნარჩენი ღირებულება ბუღალტრული ჩანაწერებით 94,0 ათას ლარს შეადგენდა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივლისის №109 განკარგულების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი მეორე ავტომობილი „ტოიოტა ლენდკრუიზერი -200“ საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს. ქონების საწყისი (ისტორიული) ღირებულებაა 104,2 ათასი ლარი, საბალანსო ღირებულება გადაცემის პერიოდისათვის - 93,7 ათასი ლარი, დარიცხული ცვეთა - 10,5 ათასი ლარი, ნარჩენი ღირებულება - 83,2 ათასი ლარი.

ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ, ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლის სხვა გასვლებში აღრიცხულია ავტომანქანის ნარჩენ ღირებულებას - 94,0 ათას ლარსა და საექსპერტო თანხას - 73,0 ათას ლარს

²⁵ 2012 წლის 14 მაისის №129 ხელშეკრულება.

²⁶ ხელშეკრულება №184, 22.09.2011.

შორის სხვაობა - 21,0 ათასი ლარი და მეორე ავტომობილის ნარჩენი ღირებულება - 83,2 ათასი ლარი, სულ 104,2 ათასი ლარი. აღნიშნული გატარება არასწორია, კერძოდ, 21,0 ათასი ლარის ნაცვლად გასვლაში უნდა ასახულიყო ავტომობილის ნარჩენი ღირებულება - 94,0 ათასი ლარი²⁷. ამასთან, საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ღირებულებას შორის სხვაობა 21,0 ათასი ლარი (შემცირებული თანხა) უნდა გატარებულიყო „სხვა ეკონომიკური ნაკადების მუხლში (დებეტი).

გარდა ამისა, 104,2 ათასი ლარით გაზრდილია ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი. ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და შემთხვევითი დაზიანების შედეგად ერთეულის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას²⁸, რაც კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა.

გავლენა

- ფინანსური ანგარიშგებისა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 73,0 ათასი ლარით²⁹.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი“ გაზრდილია 104,2 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლში (დებეტი) არ არის ასახული საბალანსო და გაყიდვის ღირებულებას შორის სხვაობა 21,0 ათასი ლარი.
- არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა 83,2 ათასი ლარის ოდენობით

²⁷ ცვეთა გაანგარიშებულია არასწორად, რეალურად ავტომანქანის ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 95,9 ათას ლარს.

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტი 22.

²⁹ $94,0 + 83,2 - 104,2 = 73,0$

არ არის ასახული ბალანსის დანართ ფორმა №3-ის შესაბამის მუხლში.

- აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

სატრანსპორტო საშუალებები

გარემოება №1: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №6-ის სატრანსპორტო საშუალებათა შენახვის ხარჯებში ცალ-ცალკე აისახება საანგარიშო პერიოდში გადახდილი შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების თანხები.

მუნიციპალიტეტს 2012 წელს გაფორმებული აქვს სახელმწიფო შესყიდვის 4 ხელშეკრულება³⁰ 50100000 დანაყოფის კოდით - „სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“. საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2,0 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, ბალანსის დანართ ფორმა №6-ში - „სატრანსპორტო საშუალებათა შეკეთების“ მუხლი ნულოვანი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი და ხარჯი დამატებულია „სათადარიგო ნაწილების“ მუხლზე.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №6-ში - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“, 2,0 ათასი ლარით შემცირებულია „სატრანსპორტო საშუალებათა შეკეთების“ მუხლი. იმავე თანხით გაზრდილია „სათადარიგო ნაწილების“ მუხლი.

გარემოება №2: ზოგადად, ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №6-ის - სატრანსპორტო საშუალებათა შენახვის ხარჯებში მოცემულია საწვავის ხარჯი, ტრანსპორტის სახეობის მიხედვით (მსუბუქი, „ჯიპები“ და „პიკაპები“, სპეც. და სატვირთო).

მუნიციპალიტეტს არ აქვს ნაჩვენები მსუბუქ მანქანებზე გაწერილი საწვავი, რაც დამატებულია „ჯიპებისა“ და „პიკაპების“ საწვავის ხარჯზე.

³⁰ №151, 01.06.2012; №159, 13.06.2012; №164, 19.06.2012; №268, 24.08.2012.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №6-ში - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“, არასწორადაა წარმოდგენილი მსუბუქი მანქანების, „ჯიპებისა“ და „პიკაპების“ საწვავის ხარჯები.

ინვენტარიზაცია

გარემოება: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად³¹, თვითმმართველი ერთეული პასუხისმგებელია არაფინანსური აქტივების პირველად აღრიცხვაზე, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრასა და ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობის დაცვაზე.

საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

2012 წელს გორის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

გავლენა

- მუნიციპალიტეტში სათანადო კონტროლი არც ხორციელდება ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე, რადგან დადგენილი პერიოდულობით არ წარმოებს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.
- არ ხდება აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა, გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა.
- არ ხორციელდება ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების, ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება.

³¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321, 2008 წლის 16 აპრილის №364, 2010 წლის 30 ივლისის №605 და 2004 წლის 28 ივნისის №511 ბრძანებები.

- არ კონტროლდება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, გორის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;


✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტი³² თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. საკუთარი შემოსულობებით მუნიციპალიტეტი ახდენს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წელს გორის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 27727,0 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 21691,3 ათასი ლარი (78,2%) წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერს. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებული აქვს 11901,9 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 265,0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 9524,4 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.




დიაგრამა 4: 2013 წლის შემოსულობები

დიაგრამა 5: 2013 წლის ტრანსფერები

³² 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა 2 დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტი.

2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 28857,0 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 22548,4 ათასი ლარი (78,1%) შეადგენს ხარჯებს, 6147,0 ათასი ლარი (21,3%) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო 161,6 ათასი ლარი - ვალდებულებების კლებას.



დიაგრამა 6: 2013 წლის ხარჯების კლასიფიკაცია

2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- გზის შეკეთების სამუშაოები;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოები.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის ხარვეზები

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ

ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების მოძრაობა;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა;
- ✓ გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას, რის გამოც საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც საჭიროებს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვას.

მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდებოდა ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების ფორმა - ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები, 2013 წლის მდგომარეობით, მოამზადა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში.

გორის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლენილი შიდა კონტროლის ხარვეზები არსებით გავლენას ახდენს 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. კერძოდ, ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების“, „წმინდა ღირებულების“ და სხვა მუხლები.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) №1210 ანგარიშზე - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაჩვენებია 2 540,3 ათასი ლარის ოდენობით. ბანკის ამონაწერებით, ამ პერიოდისათვის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის ნაშთი შეადგენდა 2 451,8 ათას ლარს. ნაშთი არასწორადაა გაზრდილი (ნაჩვენები) სახელმწიფო ხაზინიდან 2013 წლის 31 დეკემბერს გადმორიცხული, მუნიციპალიტეტის კუთვნილი 88,8 ათასი ლარით, რომელიც ანგარიშზე ჩაირიცხა 2014 წლის 3 იანვარს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, გაზრდილია 88,8 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია მუხლი - „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 88,8 ათასი ლარით გაზრდილია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლი.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება: 2014 წლის 1 იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტს ერიცხება წინა წლების საიჯარო ქირის მიუღებელი თანხა, სულ 83,1 ათასი ლარი, რომელიც არ არის ასახული მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, შემცირებულია 83,1 ათასი ლარით.

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

გარემოება: 2014 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციის შესაბამისად, წინა წლებში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის სახით მიუღებელია 202,7 ათასი ლარი.

თანხა, როგორც მუნიციპალიტეტის კუთვნილი შემოსავლები, ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“, შემცირებულია 202,7 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს „საბოლოო ნაშთის“ სისწორეზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

შენიშვნა-ნაგებობები

გარემოება №1: 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ქუჩებზე სიჩქარის შემზღუდველებისა და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები³³, ღირებულებით 130,8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია - „სხვა საქონელი

³³ ხელშეკრულებები: №121, 13.06.2013; №185, 06.09.2013; №200, 30.11.2013;

და მომსახურების“ მუხლში. დანახარჯები, როგორც „ძირითადი აქტივი“, უნდა აღრიცხულიყო „შენობა-ნაგებობების“ მუხლით, დამატებოდა კონკრეტული აქტივის ღირებულებას და დარიცხვოდა ცვეთა³⁴.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „შენობა-ნაგებობების“ („ქუჩები“) მუხლი შემცირებულია 130,8 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 130,8 ათასი ლარით გაზრდილია მუხლი „საქონელი და მომსახურება“, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არასწორი გატარების გამო, მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი“.
- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №2: მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია 15,3 ათასი ლარის საერთო ღირებულების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება/პროექტირების სამუშაოები³⁵,

³⁴საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“: მუხლი 22, პუნქტი 1.

რომელიც გატარებულია მუხლში „საქონელი და მომსახურება“. მოქმედი კანონმდებლობის³⁶ თანახმად, აღნიშნული თანხით უნდა გაზრდილიყო შესაბამისი წარმოებული აქტივის ღირებულება³⁷.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების - „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 15,3 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 15,3 ათასი ლარით გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- არასწორი გატარების გამო, მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი“.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, 15,3 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი. მათ შორის: „არასაცხოვრებელი შენობების“ მუხლი შემცირებულია 10,0 ათასი ლარით,

³⁵ ხელშეკრულებები №45, 28.02.2013; №54, 15.03.2013; №61, 22.03.2013; №80, 04.04.2013; №90, 01.05.2013; №97, 14.05.2013; №122, 17.06.2013; №174, 16.08.2013; №227, 01.11.2013; №229, 11.2013.

³⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტი 3.

³⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტი 3.

„ქუჩები“ – 5,2 ათასი ლარით, „საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები“ – 0,1 ათასი ლარით.

- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №3: მუნიციპალიტეტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვის 2 ხელშეკრულების შესაბამისად, „ძირითადი აქტივებისა“ და „შენობა-ნაგებობების“ მუხლში აღრიცხულია 53,0 ათასი ლარის საერთო ღირებულების არაფინანსური აქტივები, რომელთაგან თითოეულის ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე ან არ წარმოადგენს არსებული აქტივების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას³⁸. კერძოდ, შესყიდულია შენობა-ნაგებობების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები და სამშენებლო მასალები. ამ შემთხვევაში ხარჯები ექვემდებარებოდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გატარებას.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ 53,0 ათასი ლარით გაზრდილია „შენობა-ნაგებობების“ („არასაცხოვრებელი შენობები“) მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ 53,0 ათასი ლარით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლები, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

³⁸საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 22, პუნქტი 1; მუხლი 23, პუნქტი 5.

- არასწორად აღიარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №4: წარმოდგენილი ინფორმაციით, 2013 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია 14 ერთეული შენობა-ნაგებობა, მიწის ნაკვეთთან³⁹ ერთად (შენობა-ნაგებობა - 6,4 ათასი კვ.მ. დაკავებული მიწა - 44,4 ათასი კვ.მ). აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულადაა წარმოდგენილი.
- მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.

³⁹ საკადასტრო კოდები: 66.45.11.078, 66.46.22.974, 66.50.05.004, 66.54.22013, 66.49.04.001, 66.57.02.010, 66.52.14.002, 66.52.08.001, 66.45.25.214, 66.51.08.039, 66.51.10.059, 66.54.22.012, 66.53.11.328, 66.55.21.010.

- არაფინანსური აქტივების მიღება არ არის ასახული ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“.
- აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №5: მუნიციპალური განვითარების ფონდისა და იაპონური საგრანტო პროგრამის სესხის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტში განხორციელებულია საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტები, გრძელვადიანი დაფინანსების ფორმით. სესხის მომსახურებაზე 2013 წელს გადახდილია 235,7 ათასი ლარი, მათ შორის, ძირითადი თანხის სახით ანაზღაურებულია 161,7 ათასი ლარი, ხოლო პროცენტის სახით - 74,0 ათასი ლარი⁴⁰. მომსახურების საკასო ხარჯი (პროცენტი) ჩამოწერილია ხარჯებში და ასახულია ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, 74,0 ათასი ლარის ოდენობით.

სესხით სარგებლობის თანხით (74,0 ათასი ლარი) უნდა გაზრდილიყო შესაბამისი აქტივის ღირებულება, რადგან აქტივის შეძენასთან, წარმოებას ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების ხარჯების სახით აღიარება და მისი კაპიტალიზაცია ხდება მათი გაწევისთანავე⁴¹.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, 74,0 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში -

⁴⁰ მგფ-სა მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული (31.10.2008) საინვესტიციო ხელშეკრულების დამატება.

⁴¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 24, პუნქტი 8, 9.

„ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების მუხლი“.

- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება №1: მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ბე-დი“-ისგან შესყიდულია კომპიუტერული ტექნიკა ღირებულებით 1,7 ათასი ლარი⁴², რომელიც გატარდა „ოფისის ხარჯების“ მუხლით. ხარჯი ექვემდებარებოდა „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლით გატარებას, რადგან შესყიდული აქტივი, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს⁴³.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, მუხლი „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ შემცირებულია 1,7 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 1,7 ათასი ლარით გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

⁴² ხელშეკრულება №92, 01.05.2013.

⁴³ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს № 672 ბრძანება, თავი V.

- არასწორი გატარების გამო მიღებული აქტივები მუნიციპალიტეტს არ აღურიცხავს და შესაბამისად, მათზე ცვეთის დარიცხვა არ მომხდარა. ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №2: მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებულია მეჯვრისხევის მემორიალური აბრის მოწყობის სამუშაოები⁴⁴, რომელიც გატარებულია „ძირითადი აქტივების“ – „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლში. სამუშაოს ღირებულება ნაკლებია 500 ლარზე და არ წარმოადგენს არსებული აქტივების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამ შემთხვევაში ხარჯი ექვემდებარებოდა „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გატარებას.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, 0,2 ათასი ლარით გაზრდილია „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ („სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“) მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, 0,2 ათასი ლარით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

⁴⁴ ხელშეკრულება №273

- არასწორად აღიარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.
- ცვეთის არასწორი გაანგარიშება გავლენას ახდენს „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

გარემოება: 2014 წლის 1 იანვრისათვის, 1 011,3 ათასი ლარის საერთო ღირებულების 4 დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტიდან⁴⁵, მუნიციპალიტეტს წარმოდგენილი შესრულებების მიხედვით, 2013 წელს ანაზღაურებული აქვს 653,6 ათასი ლარის სამუშაოები, რაზედაც გაფორმებულია შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული თანხის აქტივები არასწორად მიკუთვნებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლს. ორ საანგარიშო პერიოდში ეტაპობრივად ან შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიმდინარე გადახდების ოდენობა უნდა აღრიცხულიყო დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის ანგარიშის დებეტში⁴⁶.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 653,6 ათასი ლარით. იმავე თანხით გაზრდილია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.

⁴⁵ხელშეკრულებები №№208, 218, 228, 248.

⁴⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“; მუხლი 23, პუნქტი 8.

- იმის გამო, რომ დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება⁴⁷, არასწორად აღიარებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვის გამო, ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი.

ფასეულობები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „ფასეულობების“ მუხლი წარმოდგენილია 51,2 ათასი ლარით. აქედან ნაშთი წლის დასაწყისისათვის შეადგენს 46,4 ათას ლარს, ხოლო შესყიდვებით მიღებული აქტივების ღირებულება - 4,8 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის მიერ ფაქტობრივად განხორციელებულია მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და მომსახურების შესყიდვა - თანხით 4,8 ათასი ლარი⁴⁸, რომელიც ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, ასახულია „არაწარმოებული არამატერიალური აქტივების“ მუხლში, ხოლო დანართ №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „სხვა ფასეულობების“ მუხლში.

ფასეულობა წარმოადგენს მნიშვნელოვანი ღირებულების წარმოებულ აქტივს, რომელიც ინახება როგორც ღირებულების დაგროვების საშუალება და არ გამოიყენება როგორც წარმოების/მომსახურების პროცესში, ასევე მოხმარებისათვის⁴⁹. აღნიშნული

⁴⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2.

⁴⁸ ხელშეკრულება №9, 12.01.2012.

⁴⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 26, პუნქტი 1.

დანახარჯი არ აკმაყოფილებს ფასეულობად აღიარების კრიტერიუმს და წარმოადგენს მიმდინარე ხარჯს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არაფინანსური აქტივების - „ფასეულობების“ მუხლი გაზრდილია 4,8 ათასი ლარით. ბალანსის დანართი ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ და ბალანსის დანართი №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ იმავე თანხით შემცირებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, 4,8 ათასი ლარით გაზრდილია არაწარმოებული აქტივების, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „ფასეულობების“ მუხლები.

არაწარმოებული აქტივები

გარემოება: ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 2013 წელს რეგისტრირებული 58 ერთეული 125,8 ათასი კვ.მ სხვადასხვა დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ნორმატიული ღირებულებით 406,3 ათასი ლარი. მიწა მიეკუთვნება არაწარმოებულ აქტივებს და აისახება არაფინანსურ აქტივებში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი შემცირებულია 406,3 ათასი ლარით.

- არაფინანსური აქტივების მიღება არ არის ასახული ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „არაწარმოებული აქტივების“, კერძოდ, „მიწის“ მუხლში არ არის ნაჩვენები მიწის ღირებულება 406,3 ათასი ლარი.

მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება : მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ინფორმაციით, 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით აღრიცხულია 13,1 ათასი ლარის ღირებულების მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები⁵⁰, საიდანაც 8,2 ათასი ლარი ფაქტობრივად არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებებია. კერძოდ, სოფელ კოშისათვის განხორციელებულია სამშენებლო მასალების მიწოდება, რომელიც უნდა აღრიცხულიყო შესაბამისი მუხლით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი გაზრდილია 8,2 ათასი ლარით; იმავე თანხით შემცირებულია „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი.

სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, წინასწარ გადახდილმა საიჯარო ქირამ მუნიციპალიტეტის მიერ სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან 6,7 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტი წინასწარ გადახდილ თანხას ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღრიცხავს⁵¹.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) არ არის ასახული

⁵⁰ ხელშკრულება № 270, 16.12.2013.

⁵¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 44.

მუხლი - „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“, თანხით 6,7 ათასი ლარი.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: საბალანსო ანგარიშზე „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“ აისახება სხვადასხვა სახის გრძელვადიანი სესხები და კრედიტები, რომელთა დაფარვით მოსალოდნელია ორგანიზაციიდან ფულადი რესურსების გადინება⁵².

მუნიციპალური განვითარების ფონდისა და იაპონური საგრანტო პროგრამის სესხის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტში განხორციელებულია საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტები, გრძელვადიანი დაფინანსების ფორმით. კერძოდ, შესრულებულია ქ. გორის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების და სხვა სამუშაოები.

2013 წლის 1 იანვრის მდომარეობით, მუნიციპალური განვითარების ფონდის სასარგებლოდ დარჩენილი გადასახდელი თანხა 498,6 ათასი ლარია. აღნიშნული ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული.

გავლენა

- მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი არ არის წარმოდგენილი 498,6 ათასი ლარით.

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება: ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლში ასახულია 255,8 ათასი ლარი, რომელიც ჯამდება „ნედლეული და მასალების“ პუნქტით. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბუღალტრული გატარებების ჩაშლილი ფორმების შესაბამისად, ფაქტობრივად, სულ შესყიდულია 335,2 ლარის „სხვა

⁵² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 43-44.

მატერიალური მარაგები“, მათ შორის: 14,3 ათასი ლარის „სათადარიგო ნაწილები“ და 320,9 ათასი ლარის „სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები“.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი შემცირებულია 79,4 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „ნედლეული და მასალების“ მუხლი გაზრდილია 255,8 ათასი ლარით და არ არის წარმოდგენილი „სათადარიგო ნაწილებისა“ და „სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგების“ მუხლები.

წმინდა ღირებულება

გარემოება: მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „შემოსავლების“ მუხლში ასახულია მხოლოდ გრანტების სახით მიღებული თანხა 21 691,0 ათასი ლარი. გადასახადები და სხვა შემოსავლები 5660,0 ათასი ლარის ოდენობით, დამატებულია „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლს. ამასთან, „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების“ მუხლს ასევე შეუსაბამოდ მიკუთვნებულია საკუთარი არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები, თანხით 331,6 ათასი ლარი⁵³.

არაფინანსური აქტივის გასვლა გაყიდვით ან ბარტერით გავლენას არ ახდენს კაპიტალის ღირებულებაზე, რადგან არაფინანსური აქტივებით განხორციელებულ ოპერაციებად განიხილება და შემოსავლებში არ აისახება⁵⁴.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა“ და „შემოსავლების“ მუხლები არასწორადაა წარმოდგენილი.

⁵³ მიწა - 325,3 ათასი ლარი, შენობა-ნაგებობა - 6,3 ათასი ლარი.

⁵⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 35, პუნქტი 8.

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ კრედიტის მხარე გაზრდილია 331,6 ათასი ლარით. შესაბამისად, არასწორადაა წარმოდგენილი საკრედიტო ბრუნვის, ჯამისა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს ნაშთის მუხლები.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლა

გარემოება №1: მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში შესყიდულია 12,4 ათასი ლარის ღირებულების საქონელი⁵⁵ (ძირითადად საოფისე ტექნიკა-ინვენტარი), რომელიც გატარებულია „ოფისის ხარჯების მუხლით. ხარჯები ექვემდებარებოდა „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლით გატარებას, როგორც 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ინვენტარი⁵⁶.

მუნიციპალიტეტმა ასევე არასწორად, „სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლით აღრიცხა საბავშვო ბაღისა და ტერიტორიული ერთეულების სარიტუალო დაწესებულებების ინვენტარი, საერთო ღირებულებით 50,0 ათასი ლარი⁵⁷.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის“ შესახებ, „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლი შემცირებულია 62,4 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, იმავე თანხით

⁵⁵ ხელშეკრულებები №№2,27,34,42,50,51,83,92,105,106,112,117,194,271,275.

⁵⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „ღ“.

⁵⁷ ხელშეკრულებები №348; 31.12.2012; №211, 16.10.2013; №219, 24.10.2013; №245, 02.12.2013.

გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „წმინდა ღირებულების“ მუხლი არასწორი თანხით არის წარმოდგენილი.

გარემოება №2: მუნიციპალიტეტის სამსახურების ინფორმაციით, 2013 წელს გაყიდულია 99,9 ათასი ლარის საწყისი ღირებულების არაწარმოებული აქტივები, კერძოდ, 13 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი⁵⁸, რაც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „არაწარმოებული აქტივების“ გასვლის მუხლი არასწორადაა წარმოდგენილი.
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლისა ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - წმინდა ღირებულების სისწორეზე.

გარემოება №3: 2013 წელს აუქციონის ფორმით გასხვისებულია ქ. გორში, კეცხოველის ქ. №41-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, საბალანსო ღირებულებით 2,0 ათასი ლარი. ძირითადი აქტივის გაყიდვით მიღებულმა თანხამ 6,3 ათასი ლარი შეადგინა. აქტივების მოძრაობა არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. მოგება/ზარალი ფლობიდან (8100) ანგარიშის კრედიტში ასევე არ გატარებულა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის ღირებულებას შორის სხვაობით მიღებული ნამეტი თანხა 4,3 ათასი ლარი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებასა (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1) და ბალანსის

⁵⁸ საკადასტრო კოდები: 66.43.14.018, 66.45.08.127, 66.58.04.161, 66.45.31.016, 66.45.31.127, 66.45.31.126, 66.45.07.132, 66.45.07.133, 66.45.03.559, 66.45.31.129, 66.44.02.100, 66.45.15.089, 66.45.05.057.

დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, „შენობა-ნაგებობების“ მუხლი არასწორადაა წარმოდგენილი.

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლში (კრედიტი) არ არის ასახული 4,3 ათასი ლარი, რაც გავლენას ახდენს საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

სატრანსპორტო საშუალებები

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №6 - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“, არ შეესაბამება მოცემული პერიოდისათვის მოქმედი სამართლებრივი აქტით დადგენილ ფორმას.

გავლენა

- ბალანსის დანართი ფორმა №6 - „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ არ იძლევა მოქმედი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ყველა მონაცემის აღრიცხვისა და ანალიზის საშუალებას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁵⁹, თვითმმართველი ერთეული პასუხისმგებელია არაფინანსური აქტივების პირველად აღრიცხვაზე, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრასა და ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობის დაცვაზე.

არაფინანსური აქტივების აღრიცხვის მეთოდი მუნიციპალიტეტში არასრულყოფილია; ძირითად და გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს არ აქვს

⁵⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321, 2008 წლის 16 აპრილის №364, 2010 წლის 30 ივლისის №605 და 2004 წლის 28 ივნისის №511 ბრძანებები.

მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომრები; განსაზღვრული არ არიან მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, ხელშეკრულებები სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე არ არის გაფორმებული; მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურს არ მიეწოდება ინფორმაცია ძირითადი აქტივების მოძრაობის შესახებ.

2013 წელს საინვენტარიზაციო კომისია შექმნილია საკრებულოს თავმჯდომარის 19 თებერვლის №1-099 ბრძანებით, რაც არ შეესაბამება ინვენტარიზაციისათვის დადგენილ პერიოდულობას. ინვენტარიზაციის დაწყებამდე საბუღალტრო და უფლებამოსილ სამსახურს არ დაუმუშავებია შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტი, შესაბამისი ჩანაწერები არ შესულა ანალიზური აღრიცხვის ბარათებში (წიგნებში), მონაცემები ნაშთების შესახებ ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის საინვენტარიზაციო კომისიას არ მიუღია.

ინვენტარიზაციისას გამოიკვეთა, რომ არ არსებობდა საინვენტარო ბარათები, არც ერთი დასახელების ინვენტარის ფაქტობრივი რაოდენობა არ ემთხვეოდა სააღრიცხვო მონაცემებს, საბალანსო მონაცემები შეიცავდა უზუსტობებს. გამომდინარე აქედან, საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა არ იძლევა ფასეულობათა აღრიცხვის სრულ სურათს, რადგან აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზანი ვერ იქნა მიღწეული⁶⁰.

საინვენტარიზაციო კომისიის დასკვა სახელმძღვანელოდ დაეგზავნა ადმინისტრაციულ, საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურებს. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები კომისიის დასკვნაში მითითებული დარღვევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების და საერთოდ, ადგილობრივი ქონების აღრიცხვის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

⁶⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის № 605 ბრძანებებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“, მუხლი 2.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, გორის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

გორის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება

მუნიციპალიტეტის ბალანსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ფორმა №1 (ლარი)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	0	0
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	6 927 992	3 467 665
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	150 192	27 275
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	396 095	396 095
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდ.	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		0
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430	511 262	522 025

290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		0
340	გრძელვადიანი სესხები	1510		
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520		
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530		
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610	19 936	29 996
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620	861 790	292 223
390	შენობა-ნაგებობები	2110	41 403 174	55 430 121
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	2 226 860	1 973 685
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	23 536	23 536
420	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
440	ფასეულობები	2300	41 556	46 356
450	არაწარმოებული აქტივები	2400	199 350	199 350
ბალანსი			52 761 743	62 408 327
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ვალდებულებები				
460	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
470	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	26 877	4 327
480	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
490	ვალდებულებები ბარტერიით	3230		
500	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
510	გადასახდელი დღგ	3242		
